



Consulting

Safege Permanent Establishment

Financial Statements

For the year ended 31December 2019



Consulting

Safege Permanent Establishment

Contents

Statement of Financial Position

Statement of Profit or Loss and other comprehensive income

Statement of Changes in Equity

Statement of Cash Flow

Notes:

- 1. Property, Plant and Equipment*
- 2. General and Administrative Expenses*

Statement of Financial Position

Company: Safege Permanent Establishment

As of 31 December 2019

Unit currency: Georgian laris (GEL)

	Notes	31-Dec 2019	31-Dec 2018	31-Dec 2017
Assets				
Non-Current Assets				
Intangible Assets		-	-	881
(Amortization of Intangible Assets)		-	-	(612)
Property, Plant and Equipment	<u>1</u>	60,976	73,910	80,071
(Depreciation of Property, Plant and Equipment)		(38,522)	(30,744)	(20,009)
Total Non-Current Assets		22,454	43,167	60,331
Current-Assets				
Inventory		4,847	583	793
Prepayments and Other Short Term Assets		6,523	354,221	6,244
Tax advance				
Trade and Other Receivables		1,861,490	1,261,365	1,002,278
Cash and Cash Equivalents		6,897,592	4,295,211	1,480,905
Total Current Assets		8,770,452	5,911,380	2,490,220
Total Assets		8,792,906	5,954,547	2,550,551
Liabilities and Equity				
Equity				
Chartered Capital		-	-	-
Previous Periods Accumulated Gains (Losses)		3,776,965	1,173,520	637,600
Current Period P/L		1,704,701	2,603,445	535,920
Total Equity		5,481,666	3,776,965	1,173,520
Non-Current Liabilities				
Borrowings		-	-	-
Total Non-Current Liabilities		-	-	-
Current-Liabilities				
Advances Received		-	257,861	112,950
Wages Payable		320	2,519	-
Trade and Other Payables		218,424	178,828	126,347
Tax Liabilities		67,601	69,910	145,753
Other Short-Term Liabilities		3,024,894	1,668,464	991,981
Total Current Liabilities		3,311,240	2,177,582	1,377,031
Total Liabilities and Equity		8,792,906	5,954,547	2,550,551

Check

- - -

Signature

Director



Statement of Comprehensive Income

Company: Safege Permanent Establishment

Ended on 31 December 2019 (comparatives are for 12 months' period)

Unit currency: Georgian laris (GEL)

	Notes	Year 2019	Year 2018
Revenue		8,357,896	7,885,455
Cost Of Sales		(5,817,228)	(4,966,604)
Beginning Inventory		-	-
Purchases		-	-
Conversion Expenses		(5,817,228)	(4,966,604)
Ending Inventory		-	-
Gross Profit		2,540,668	2,918,851
Salary Expenses		(180,545)	(142,989)
Rent Fee		(54,869)	(40,326)
Depreciation Expenses		(14,443)	(17,739)
General and Administrative Expenses	2	(771,081)	(157,921)
Total Operating Expenses		(1,020,938)	(358,975)
Operating Profit		1,519,731	2,559,876
Other Non-Operating Income		82,402	8,421
Translation Gains (Losses)		102,569	35,147
Profit Before Tax		1,704,701	2,603,445
Profit Tax Expenses		-	-
Profit For The Period		1,704,701	2,603,445
<i>Check</i>		-	-

Signature

Director



Statement of Changes in Equity

Company: Safege Permanent Establishment

As of 31 December 2019

Unit currency: Georgian laris (GEL)

<i>In Georgian Lari</i>	Charter capital	Accumulated profit/(loss)	Total Equity
As of January 1, 2017	-	637,600	637,600
Profit/(Loss) for The Year		535,920	535,920
Other comprehensive income for the year		-	-
<i>Total Comprehensive income for the year</i>	-	<i>535,920</i>	<i>535,920</i>
Authorized Increase of Charter Capital	-	-	-
Dividends	-	-	-
<i>Transactions with Owners</i>	-	-	-
As of December 31, 2017	-	1,173,520.22	1,173,520.22
Profit/(Loss) for The Year	-	2,603,445	2,603,445
Other comprehensive income for the year	-	-	-
<i>Total Comprehensive income for the year</i>	-	<i>2,603,445</i>	<i>2,603,445</i>
Authorized Increase of Charter Capital	-	-	-
Dividends	-	-	-
<i>Transactions with Owners</i>	-	-	-
As of December 31, 2018	-	3,776,964.92	3,776,964.92
As of January 01, 2019	-	3,776,964.92	3,776,964.92
Profit/(Loss) for The Year	-	1,704,701	1,704,701
Other comprehensive income for the year	-	-	-
<i>Total Comprehensive income for the year</i>	-	-	-
Authorized Increase of Charter Capital	-	-	-
Dividends	-	-	-
<i>Transactions with Owners</i>	-	-	-
As of December 31, 2019	-	5,481,666	5,481,666

Signature

Director



Statement of Cash Flows

Company: Safege Permanent Establishment

Ended on 31 December 2019 (comparatives are for 12 months' period)

Unit currency: Georgian laris (GEL)

	Year 2019	Year 2018
Cash Flows From Operating Activities		
Profit Before Tax	1,704,701	2,603,445
Non-Cash Adjustments:		
Depreciation and Amortization	14,443	17,739
Taxes Paid	-	-
	1,719,144	2,621,183
Change in Trade and Other Receivables	(600,125)	(259,087)
Changes in Prepayments and Other Short Term Assets	347,698	(347,977)
Change in Inventories	(4,264)	210
Change in Advances Received	(257,861)	144,911
Change in Trade and Other Payables	39,597	52,481
Change in Tax Liabilities	(2,309)	(75,842)
Change in Wages payable	(2,199)	2,519
Change in Other Short-Term Liabilities	1,356,431	676,482
Net Cash From / (Used For) Operating Activities	2,596,111	2,814,880
Cash Flows From Investing Activities		
Purchase of Intangible Assets	-	269
Purchase of Property, Plant and Equipement	6,270	(844)
Net Cash Provided From Investing Activities	6,270	(575)
Cash Flows From Financing Activities		
Proceeds From Borrowings	-	-
Net Cash Provided From Financing Activities	-	-
Net Increase (Decrease) in Cash and Cash Equivalents	2,602,381	2,814,306
Cash and Cash Equivalents at The Beginning of The Period	4,295,211	1,480,905
Cash and Cash Equivalents at The End of The Period	6,897,592	4,295,210

Check

-

-

Signature

Director



Property, Plant and Equipment

2019 reporting Year

Historical cost	Office equipment	Furnitures and fixtures	Vehicles	Total
Historical cost 01.01.2017	4,976.95	2,383.89	25,353.90	32,714.74
Additions 2017	14,651.86	1,100.84	31,603.20	47,355.90
Disposals	-	-	-	-
Historical Cost 31.12.2017	19,628.81	3,484.73	56957.1	80,070.64
Accumulated depreciation				
Accumulated depreciation 01.01.2017	1,611.32	856.41	4,577.82	7,045.55
Depreciation 2017	4,019.33	1,031.10	7,912.72	12,963.15
Accumulated depreciation of disposals 2017	-	-	-	-
Accumulated depreciation 31.12.2017	5,630.65	1,887.51	12,490.54	20,008.70
Accumulated depreciation 31.12.2017	5,630.65	1,887.51	12490.54	20,008.70
Net book value				
Net book value 01.01.2017	3,365.63	1,527.48	20776.08	25,669.19
Net book value 31.12.2017	13,998.16	1,597.22	44466.56	60,061.94

Check

Historical cost	Office equipment	Furnitures and fixtures	Vehicles	Total
Historical cost 01.01.2018	19,628.81	3,484.73	56,957.10	80,070.64
Additions 2018	295.76	278.81	-	574.57
Disposals	(4,350.90)	(2,383.89)	-	(6,734.79)
Historical Cost 31.12.2018	15,573.67	1,379.65	56957.1	73,910.42
Accumulated depreciation				
Accumulated depreciation 01.01.2018	5,630.65	1,887.51	12,490.54	20,008.70
Depreciation 2018	5,789.58	1,133.82	10,546.32	17,469.72
Accumulated depreciation of disposals 2018	(4,350.90)	(2,383.89)	-	(6,734.79)
Accumulated depreciation 31.12.2018	7,069.33	637.44	23,036.86	30,743.63
Accumulated depreciation 31.12.2018	7,069.33	637.44	23036.86	30,743.63
Net book value				
Net book value 01.01.2018	13,998.16	1,597.22	44466.56	60,061.94
Net book value 31.12.2018	8,504.34	742.21	33920.24	43,166.79

Check

Historical cost	Office equipment	Furnitures and fixtures	Vehicles	Total
Historical cost 01.01.2019	15,573.67	1,379.65	56,957.10	73,910.42
Additions 2019	211.02	719.50	-	930.52
Disposals	(861.87)	-	- 13,003.20	(13,865.07)
Historical Cost 31.12.2019	14,922.82	2,099.15	43953.9	60,975.87
Accumulated depreciation				
Accumulated depreciation 01.01.2019	7,069.33	637.44	23,036.86	30,743.63
Depreciation 2019	4,216.31	595.76	9,630.50	14,442.57
Accumulated depreciation of disposals 2019	(861.87)	-	(5,802.50)	(6,664.37)
Accumulated depreciation 31.12.2019	10,423.77	1,233.20	26,864.86	38,521.83
Accumulated depreciation 31.12.2019	10,423.77	1,233.20	26864.86	38,521.83
Net book value				
Net book value 01.01.2019	8,504.34	742.21	33920.24	43,166.79
Net book value 31.12.2019	4,499.05	865.95	17089.04	22,454.04

Check

General and Administrative Expenses

2019 reporting Year

Account #	Description	2019 GEL	2018 GEL
7401	Management fee	491,053.50	
7410	EE Benefits	3,584.63	2,000.87
7410 02	Pension Expense For Support Staff	3,449.84	-
7411 001	Monthly Allowance (accomodation)_b	4,603.88	-
7411 002	Business Trip Expenses (Per diem)	495.00	600.00
7411 003	Business Trip Expenses (Hotel and Food)	8,106.15	8,976.41
7411 004	Accomodation fee for Freelancers_d	33,493.60	-
7412	Car running and Transportation Expenses	93,223.39	28,110.21
7415 002	Office charges (cleaning, energy, etc.)	5,287.41	2,945.00
7415 003	Office Utilities	4,654.67	2,381.76
7415 006	Communication costs (internet, cellphone, etc.)	6,716.93	7,326.86
7415 008	Stationary Expenses	4,337.85	4,412.18
7415 009	Office Supplies	4,225.87	5,987.19
7415 010	Pension from company for services	84.88	-
7450	Consulting and Accounting Service Fee	71,582.73	51,219.30
7465	Other Tax Expenses	26,537.53	40,121.23
7490 001	Bank Charges	3,745.21	3,509.38
7490 002	Commercial and representation costs	359.50	-
7490 006	Announcement	30.00	-
7490 007	Other costs	5,508.38	-
7490	Other Operating Expenses	-	331.00
TOTAL		771,080.95	157,921.39

Check

-

-

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 პირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

Safeg PE წარმოადგენს უცხოური საწარმოს მუდმივ დაწესებულებას საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. მისი ძირითადი საქმიანობაა არქიტექტურული საქმიანობები, კერძოდ ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა.

2 შედგენის საფუძველი

2.1 ბანცხაღება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

ვინაიდან თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება*.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკე-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან

დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილი იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განისაზღვრება შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები, რომელიც შეესაბამება მისი გამოყენების ოპტიმალურ პერიოდს.

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 3-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები, როგორიცაა მანქანა-დანადგარების სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე აღიარდება სასაქონლო მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ, არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

3.6 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.7 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.8 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.9 შემოსავლის აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ამონაგები შედგება მისი მიერ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლებისაგან.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების

შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება ყველანაირი გაცემული სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის თანხა. ამონაგებში არ გაითვალისწინება მესამე მხარის სახელით / სასარგებლოდ მიღებული თანხები, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული დამატებითი ღირებულების გადასახადი. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც კომპანია რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში ჩაირთვება მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

იმის დასადგენად, საწარმომ მყიდველს როდის გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი, ხდება გარიგების პირობების გაანალიზება. მეტ წილ შემთხვევებში, საკუთრებასთან დაკავშირებული რისკებისა და სარგებლის გადაცემა ემთხვევა მყიდველზე იურიდიული ან ქონებრივი უფლებების გადაცემას. ასე ხდება უმეტეს საცალო გაყიდვის ოპერაციებში.

თუ საწარმო ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ოპერაცია არ მიიჩნევა გაყიდვად და, შესაბამისად, არ ხდება ამონაგების აღიარება.

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება

როდესაც შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (ე.წ. "პროცენტული შესრულების მეთოდით"). ხელშეკრულების შესრულების სტადია განისაზღვრება სამუშაოების დასრულების პროპორციულობის მეთოდით.

როდესაც მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, კომპანია ამონაგებს აღიარებს მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში, თუკი ასეთი არის.